



სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ნახევარი წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 30 ივნისს დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის

პასუხისმგებელი პირების განცხადება

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დასრულებული ნახევარი წლის არააუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და ამავე წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნების საფუძველზე.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ბიზნესისა და ჯგუფის პოზიციის განვითარების, საქმიანობის შედეგებისა და პირობების სამართლიან მიმოხილვას, ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობების აღწერას.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ტარას ნიჟარაძე



გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილი



ფინანსური დირექტორი

თათია ჯაჯანაშვილი



სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (არააუდიტირებული)

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	30 ივნისი 2024	31 დეკემბერი 2023	30 ივნისი 2023
აქტივები			
ნაღდი ფული და ფულადი სახსრები ანგარიშებზე	15,567	6,286	6,007
მთლიანი სესხები	107,289	101,144	95,183
სხვა აქტივები	1,939	2,019	3,595
საგადასახადო აქტივი	0	0	48
გადავადებული საგადასახადო აქტივი	0	0	137
არამატერიალური აქტივები	346	370	369
აქტივის გამოყენების უფლება	4,913	4,733	5,334
ძირითადი საშუალებები	2,492	2,532	2,556
მთლიანი აქტივები	132,546	117,084	113,228
ვალდებულებები			
სუბორდინირებული სესხები და სხვა მიღებული სესხები	103,092	90,046	87,984
საიჯარო ვალდებულებები	4,753	4,750	4,669
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	51	51	0
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	470	505	0
სხვა ვალდებულებები	1,773	1,155	703
მთლიანი ვალდებულებები	110,138	96,507	93,356
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	2,255	2,255	2,255
საემისიო კაპიტალი	1,136	1,136	1,136
პრივილეგირებული აქციები	6,989	6,989	6,989
გაუნაწილებელი მოგება	12,028	10,197	9,492
მთლიანი კაპიტალი	22,408	20,577	19,872
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	132,546	117,084	113,228

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი

სრული შემოსავლის ანგარიშგება (არააუდიტირებული)

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	30 ივნისი 2024	30 ივნისი 2023
საპროცენტო შემოსავალი	13,605	12,495
საპროცენტო ხარჯი	-5,229	-4,720
წმინდა საპროცენტო მოგება (ზარალი)	8,376	7,775
საკომისიო შემოსავლები	1,838	1,046
მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	1,063	1,467
მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-1,417	-2,755
საოპერაციო მოგება (ზარალი)	9,860	7,532
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	-560	-1,441
პერსონალის ხარჯები	-4,306	-3,519
ცვეთა და ამორტიზაცია	-822	-888
სხვა საოპერაციო ხარჯები	-1,416	-1,072
მოგება (ზარალი) გადასახადებამდე	2,756	613
მოგების გადასახადი	-490	-
წმინდა მოგება (ზარალი)	2,266	613

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (არააუდიტირებული)

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

30 ივნისი 2024 30 ივნისი 2023

	30 ივნისი 2024	30 ივნისი 2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგრამლე	2,756	612
კორექტირებები:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	560	332
წმინდა ცვლილება დარიცხულ პროცენტებში	-25	28
ფინანსური აქტივების სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაციის მოგება (ზარალი)	-	-93
ცვეთა და ამორტიზაცია	822	888
ბონუსი, აუდიტი და სხვა დარიცხული მომსახურების გადასახადი	-	144
დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)	-	4
დასაკუთრებული ქონების გაუფასურება	137	110
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება (ზარალი)	25	-1,268
წმინდა მოგება ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	-126
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებამდე	4,275	631
ცვლილებები საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში		
მთლიანი სესხები	-6,144	-5,273
სხვა აქტივები	80	602
საგადასახადო აქტივი	-	-48
სხვა ვალდებულებები	-786	-374
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები	-2,575	-4,462
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	40	-205
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	235
არამატერიალური აქტივების შეძენა	23	4
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	63	34
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
მიღებული სხვა ნასესხები სახსრები	55,407	50,054
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა	-42,382	-45,034
გამოსყიდული პრივილეგირებული აქციები	-	-475
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	-818	-532
გადახდილი დივიდენდები	-435	-220

საფინანსო საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები	11,773	3,793
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	9,260	-635
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	6,286	6,778
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	21	-136
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	15,567	6,007

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ (არააუდიტირებული)

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	სააქციო პრემია	პრივილეგირებული აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	2,255	1,136	7,464	9,099	19,954
გამოსყიდული პრივილეგირებული აქციები	-	-	(475)	-	(475)
ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების კორექტირება	-	-	-	(491)	(491)
	-	-	(475)	(491)	(966)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(444)	(444)
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	2,033	2,033
	-	-	-	1,589	1,589
2023 წლის 31 დეკემბერი	2,255	1,136	6,989	10,197	20,577
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(435)	(435)
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	2,266	2,266
	-	-	-	1,831	1,831
2024 წლის 30 ივნისი	2,255	1,136	6,989	12,028	22,408

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (არააუდიტირებული)

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “მიკრო ბიზნეს კაპიტალი” დაარსდა 2012 წლის 6 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება (შემდგომში “ორგანიზაცია”), საიდენტიფიკაციო ნომრით - 404967078. ორგანიზაცია საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი (“სებ”).

ორგანიზაცია მიზნად ისახავს მომხმარებელზე მაქსიმალურად ორიენტირებული სერვისების შექმნას - მიკრო და მცირე ბიზნესებისა და ფერმერებისთვის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობას და კლიენტებთან გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობების შენარჩუნებას. „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტის მიზანია წვლილი შეიტანოს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.

ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ორგანიზაციის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც შერჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

ორგანიზაციას აქვს 17 ფილიალი. ორგანიზაციის სათავო ოფისი არის ქუთაისის დედოფლის 68 ნომერში, თბილისი, საქართველო. ორგანიზაციის დირექტორია გია პეტრიაშვილი.

ორგანიზაციას სრულად ფლობენ „აქციონერთა ჯგუფის“ წევრები. არ არსებობს ორგანიზაციის ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე 2024 და 2023 წლების 30 ივნისის მდგომარეობით.

2024 და 2023 წლების 30 ივნისის მდგომარეობით, ორგანიზაციის მფლობელთა წილების გადანაწილება უცვლელი იყო და წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

30 ივნისი 2024

მეწილეები	მთლიანი ჩვეულებრივი აქტივების პროცენტული დირებულება	ჩვეულებრივი აქციების ნომინალური დირებულება	A ტიპის პრივილეგირებული აქციების რაოდენობა	B ტიპის პრივილეგირებული აქციების რაოდენობა
გია პეტრიაშვილი	31.76%	716,000	27,000	100
ოთარ რუსაძე	14.42%	325,000	108,000	400
თენგიზ მაზიაშვილი	9.29%	209,500	33,750	125
ტარას ნიჟარაძე	8.25%	186,000	99,900	190
მურმან ამბროლაძე	7.98%	180,000	13,500	50
გოდერძი მელაძე	6.65%	150,000	40,500	150
გიორგი გოთოშია	6.65%	150,000	13,500	50
გიორგი ვაჩნაძე	5.48%	123,500	14,850	55
JB LLC	2.66%	60,000	27,000	100
ეთერ ჩაჩიბაია	2.00%	45,000	-	-
გიორგი დვალაძე	1.95%	44,000	-	-
თათია ჯაჯანაშვილი	1.49%	33,500	-	-
ნინო დევდარიანი	1.42%	32,000	-	-
	100%	2,254,500	378,000	1,220

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ორგანიზაციის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

თანხობრივი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისა.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ ორგანიზაცია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

2024 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას - (ფასს 16-ის შესწორება);
- ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება);
- კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება); და
- მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში).

2025 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები).

ამჟამად, ორგანიზაცია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ორგანიზაციას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ ამ და სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა ორგანიზაციაზე.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული საადრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო დირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ საადრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის
- მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახადები

ორგანიზაცია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ორგანიზაცია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ორგანიზაცია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადასახადები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

უზრუნველყოფის საგნის დირებულების შეფასება

ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო დირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური დირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის დირებულება დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

გადასახადები

სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს

კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერების თანხებისაგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება და ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს გადასახადებთან დაკავშირებული რისკები.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე.

საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ორგანიზაციის ფინანსურ ზარალს. ორგანიზაციას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები (როგორც აღიარებული ფინანსური აქტივებისათვის ასევე აღიარება შეწყვეტილი სახელშეკრულებო ვალდებულებებისათვის), რომელშიც გათვალისწინებულია პორტფელის კონცენტრაციის ლიმიტების სახელმძღვანელო. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება მმართველთა საბჭოს მიერ.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს შემდეგს:

- სასესხო/საკრედიტო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- მსესხებლების საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- კონტრაგენტების საკრედიტო შეფასების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგიას;
- საკრედიტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- სესხებისა და სხვა საკრედიტო რისკების მუდმივი მონიტორინგის პროცედურებს.

საკრედიტო კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხს აგებს საკრედიტო ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესიო განაცხადს. საბოლოოდ, საკრედიტო კომიტეტის წევრები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის გადახდისუნარიანობა; საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) აფასებენ სესხის განაცხადს.

რისკების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს კლიენტების ინდივიდუალური რისკის შეფასებას და ასევე მთლიანი საკრედიტო პორტფელის, კრედიტების კონცენტრაციის და საბაზრო რისკების შეფასებას.

ორგანიზაცია ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს და რეგულარულად აფასებს მისი კლიენტების გადახდისუნარიანობას. მიმოხილვა ეფუძნება კლიენტების ყველაზე ახალ ფინანსურ მდგომარეობას და სხვა მსგავსი ჯგუფის მსესხებლის მიერ წარმოდგენილ ან ორგანიზაციის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. რეგულარული მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის აღმოჩენას, მართვას და მის დროულ განეიტრალებას.

რისკების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს კლიენტების ინდივიდუალური რისკის შეფასებას და ასევე მთლიანი საკრედიტო პორტფელის, კრედიტების კონცენტრაციის და საბაზრო რისკების შეფასებას (კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხი იხილეთ მე-6 მენიშვნაში).

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასა და არაღიარებულ სახელშეკრულებო ვალდებულებების ოდენობებში. აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ურთიერთგაქვითვის გავლენა პოტენციური საკრედიტო დაქვემდებარების შემცირებაზე არ არის არსებითი.

საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა:

	30 ივნისი 2024	30 ივნისი 2023
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	10,767	2,156
კლიენტებზე გაცემული სესხები	107,289	95,182
სხვა აქტივები	1,939	3,707
	119,995	101,045

ლიკვიდრობის რისკი

ლიკვიდრობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ორგანიზაცია სიძნელებებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდრობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებულია აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდრობის მართვის ქვაკუთხედს. ფინანსურ ინსტიტუტში სრული შესაბამისობის მიღწევა იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც ის სხვადასხვა ტიპის არის. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის მომგებიანობას, თუმცა, შესაძლოა ზრდიდეს ზარალის საფრთხესაც.

ორგანიზაციის ლიკვიდრობის მართვის ამოცანაა, რომ ფულადი თანხები იყოს ხელმისაწვდომი, დამდგარი ფინანსური ვალდებულების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდრობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ფულადი ნაკადების დაგეგმვას ძირითადი ვალუტების ჭრილში და მათთან დაკავშირებით საჭირო ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებას;
- დაფინანსების წყაროების მრავალფეროვანი დიაპაზონის უზრუნველყოფას;
- სესხების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- სესხის დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;

- ლიკვიდურობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ცხრილებში განხილული მთლიანი გადინება მოიცავს სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფინანსურ ვალდებულებებზე.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სხვა ნასესხები თანხები	10,119	45,263	42,134	-	97,516
სუბორდინირებული სესხები	-	-	5,576	-	5,576
საიჯარო ვალდებულება	313	884	3,351	205	4,753
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,942	-	-	-	1,942
	12,374	46,147	51,061	205	109,787

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შეიცვლება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

სავალუტო რისკების მართვა

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი და სხვა ვალუტები
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,302	4,265
გაცემული სესხები	106,538	751
სხვა ფინანსური აქტივები	1,852	87
	119,692	5,103
ფინანსური ვალდებულებები		
სხვა ნასესხები თანხები	64,437	33,079
სუბორდინირებული სესხები	-	5,576
საიჯარო ვალდებულებები	174	4,579

სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,715	227
	66,326	43,461
ღია საბალანსო პოზიცია	53,366	-38,358
რისკების მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტი	-34,197	33,965
წმინდა ღია საბალანსო პოზიცია	19,169	-4,393

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა; და
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად. იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ორგანიზაციამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

დივიდენდები

დივიდენდების ვალდებულება შეზღუდულია ორგანიზაციის მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2024 წელს იანვრის თვეში, ორგანიზაციამ გამოაცხადა და გასცა 435 ლარის ოდენობით პრივილეგირებული დივიდენდები, ხოლო 2023 წელს 444 ლარის ოდენობით. სააღრიცხვო პერიოდის შემდეგ, 2024 წლის ივლისის თვეში, ორგანიზაციამ დამატებით გამოაცხადა და გასცა 430 ლარის პრივილეგირებული დივიდენდი.



სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

2024 წლის ნახევარი წლის მმართველობითი ანგარიშგება

ჩვენ შესახებ

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (ემბისი) საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა და დღესდღეობით, ქვეყნის 8 რეგიონში, 17 სერვის ცენტრითაა წარმოდგენილი. კომპანია 111,077 ათასი ლარის მოცულობის მთლიან სასესხო პორტფელს მართავს და 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 249 თანამშრომელს აერთიანებს.

ორგანიზაცია ისწრაფვის შექმნას მცირე მეწარმეობისა და ფერმერობის განვითარების შესაძლებლობა და ამ გზით ხელი შეუწყოს მიკრო ბიზნესის ფინანსურ სტაბილურობას, ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. ემბისი არსებობის მანძილზე 150,000-ზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს მოემსახურა და მათ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებზე დაფუძნებული მომსახურება შესთავაზა. მომხმარებლებთან გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობის დამყარება ემბისის უმთავრესი პრიორიტეტია.

ემბისი საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის ჯილდოს კონკურსის (BARTA) არაერთგზის გამარჯვებულია. გარდა ამისა, 2023 წელს, კომპანიამ საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსში (Meliora) უმაღლესი ჯილდო მოიპოვა და „წლის პასუხისმგებელი მცირე და საშუალო კომპანია“ გახდა. ასევე, ემბისის მოპოვებულ ჯილდოებს შორის, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კორპორაციული მდგრადობის ჯილდო - ახალგაზრდებში ფინანსური განათლების ხელშეწყობის პროექტით. გასულ წელს, კომპანიის ოპერაციების დირექტორი გაეროს გლობალური შეთანხმების SDG 3-ის მიზნების ადგილობრივი და გლობალური რაუნდის გამარჯვებული გახდა.

მნიშვნელოვან მოვლენებს შორისაა 2022 წელს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ემბისის 15 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი ობლიგაციების განთავსება. ამგვარი აღიარება დამსახურებულად აყენებს ემბისის წარმატებული კომპანიების გვერდით და ცხადყოფს მის მზაობას გადავიდეს განვითარების ახალ ეტაპზე მიკრო ბანკის სტატუსის მოპოვებით.

2024 წლის პირველი ნახევრის მიმოხილვა

2024 წელი ბაზრის სტაბილური მაჩვენებლებით და მაღალი ეკონომიკური ზრდით გამოირჩევა. წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის ივნისში, რეალური მშპ 7.5%-ით გაიზარდა. ჯამურად, 2024 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს ეკონომიკა წლიური 9.0%-ით გაიზარდა. 2024 წლის ივნისის მდგომარეობით, წლიური ინფლაცია 2.2% გახლდათ, ხოლო საშუალო წლიურმა ინფლაციამ 0.81% შეადგინა, რაც გასული წლის იგივე პერიოდთან შედარებით 89%-ით ნაკლებია. ზემოთ აღნიშნულმა დადებითი გავლენა იქონია რეფინანსირების განაკვეთზეც, რომელიც 2024 წლის მაისში, 2023 წლის ბოლოსთან შედარებით, 1.5%-ით შემცირდა და 8,0% შეადგინა. მაისის შემდეგ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა ივნისში და ივლისშიც ჩატარდა. კომიტეტის გადაწყვეტილებით განაკვეთი უცვლელად, 8%-ზე შენარჩუნდა. რეფინანსირების განაკვეთის შემცირებამ დადებითი გავლენა იქონია კომპანიის მოზიდული სახსრების ფასზე, რაც აისახა ცვლად განაკვეთში მოზიდული სესხების ღირებულების შემცირებაში. 2024 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა აშშ დოლარის ლარში ჰეჯირების განაკვეთიც, რომელიც 2023 წელს საშუალოდ 6.8% იყო, ხოლო 2024 წლის პირველ ნახევარში 4.1%-მდე ჩამოვიდა. აღნიშნული ცვლილება დადებით გავლენას ახდენს ჰეჯირების ხარჯებზე და ორგანიზაციის ფინანსურ შედეგებზე. 2024 წლის პირველ ნახევარში ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 4.5%-ით გაუფასურდა.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის პირველ ნახევარში ემბისიმ წარმატებით მოახერხა ძირითადი საქმიანობით მიღებული შედეგების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება. 2024 წლის ივნისის თვის ბოლოს, 2023 წლის დეკემბერთან მიმართებაში, კომპანიის მთლიანი სასესხო პორტფელი 5%-ით გაიზარდა და 111,077 ათასი ლარი შეადგინა. 2023-2024 წლებში ემბისის ახალი სერვის-ცენტრი არ გაუხსნია. ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, არსებული რესურსი, გასულ წლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გახსნილი სერვის-ცენტრების სასესხო პორტფელის ზრდის უზრუნველყოფას მოხმარდება, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს გაზარდოს აგრო და ბიზნეს სესხების წილი მთლიან სასესხო პორტფელში. 2024 წელს გაიზარდა ემბისის აქტიური მსესხებლების რაოდენობაც და ზრდის მაჩვენებელმა 4% შეადგინა. ემბისის აქტიური მსესხებლების რაოდენობა ივნისის თვის მონაცემებით 9,002 იყო, საიდანაც 70%-ს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული სერვის-ცენტრები ემსახურებიან.

2024 წლის ივნისის ბოლოსთვის ემბისის მთლიანი ვალდებულებები 14%-ით გაიზარდა. აღნიშნულის მიზეზი მოზიდული სახსრების ზრდა გახლდათ, რომელმაც 14% (13,046 ათასი ლარი) შეადგინა. საანგარიშო პერიოდში მოზიდული სესხების ნაწილი ქართული კომერციული ბანკებისგან ლარში, ხოლო ნაწილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან აშშ დოლარში იქნა გენერირებული. ამასთან, ემბისი აქტიურად აგრძელებს საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას და 2024 წლის მეორე ნახევარში დამატებით 18,000 ათას ლარამდე სესხის მოზიდვას გეგმავს. თანხის ნაწილით სასესხო პორტფელის ზრდა იქნება დაფინანსებული, ნაწილი კი ვალდებულებების დაფარვას მოხმარდება. ემბისი, 2024 წლის ბოლოს, 30,000 ათასი ლარის ობლიგაციების გამოშვებას გეგმავს - 15,000 ათასი ლარით დაიფარება ვალდებულებების ობლიგაციები, რომელიც კომპანიამ 2022 წელს გამოუშვა, ხოლო დარჩენილი ნაწილით სხვა სასესხო ვალდებულებები და საბრუნავი საშუალებები დაფინანსდება. ობლიგაციების ვალად 2 ან 3 წელი იქნება განსაზღვრული, რაც კომპანიას დაეხმარება მოზიდული სახსრების ვადიანობის გაზრდაში.

ემბისის მთლიანი კაპიტალი, 2024 წლის ივნისის ბოლოსთვის, 2023 წლის დეკემბრის თვესთან მიმართებაში, 9%-ით გაიზარდა. აღნიშნულის მიზეზი აკუმულირებული მოგების ზრდა იყო. 2024 წლის 6 თვის წმინდა მოგებამ 2,266 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი მატერიალურად აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის შედეგებს (2023 წელს 6 თვის წმინდა მოგება 613 ათასი ლარი გახლდათ), რაზეც ძირითადი გავლენა შემცირებულმა საპროცენტო და ჰეჯირების ხარჯებმა და გადაფასებიდან მიღებული ზარალის მინიმუმაცამ მოახდინა. მოგების გენერაციაზე ასევე დადებითი გავლენა იქონია მთლიანი სასესხო პორტფელის ზრდამ და შესაბამისად, გაზრდილმა საპროცენტო და საკომისიო შემოსავლებმაც. 2024 წლის პირველ ნახევარში გაუმჯობესდა ემბისის საკრედიტო რისკების მაჩვენებელიც. რეზერვის შეფარდება მთლიან სასესხო პორტფელთან 2023 წლის დეკემბერთან მიმართებაში 0.8%-ით შემცირდა (2023-ის დეკემბერში 4.2%, ხოლო 2024-ის ივნისში 3.2% იყო). აღნიშნულმა თავის მხრივ დადებით გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შემცირებაზე, რომლის წლიური მაჩვენებელიც მთლიან სასესხო პორტფელთან მიმართებაში 2023 წლის 1.6%-იანი მაჩვენებელიდან 1%-ზე შემცირდა.

2024 წლის ივნისის თვის ბოლოსთვის, ემბისი წარმატებით ასრულებდა ეროვნული ბანკისა და ადგილობრივი თუ საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მიერ დაწესებულ საზედამხედველო კაპიტალის, ლიკვიდობის კოეფიციენტებისა თუ სხვა ფინანსური მაჩვენებლების მოთხოვნებს.

კორპორაციული მდგრადობა

ემბისი აგრძელებს კორპორაციული მდგრადობის მიმართულებით მუშაობას და დასახული მიზნების განხორციელებას. კომპანიის კორპორაციული პასუხისმგებლობა მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას. აღნიშნული მიმართულებების გადახედვა ხდება გარკვეული პერიოდულად, იმის შესაბამისად თუ როგორია კომპანიის დაინტერესებული მხარეების მოლოდინები და ზოგადად სექტორის მოთხოვნები. სტრატეგიის გადახედვის უახლოესი პროცესი განხორციელდა 2022 წელს. შედეგად, განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები: პასუხისმგებლობა თანამშრომელთა მიმართ; პასუხისმგებლობა მომხმარებლების მიმართ; გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა; საზოგადოების მხარდაჭერაში შეტანილი წვლილი. ამასთანავე, კომპანიის საქმიანობაში სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, ემბისის წვლილი შეაქვს მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნების მიღწევაშიც: SDG 1 - არა სიდარობა, SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, SDG 4 - ხარისხიანი განათლება, SDG 5 - გენდერული თანასწორობა, SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, SDG 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა, SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა, ძლიერი ინსტიტუციები.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, ემბისიმ აქტიურად გააგრძელა კორპორაციული მდგრადობის ინიციატივების განხორციელება, კერძოდ:

- **სოციალური საწარმოების მხარდაჭერა**

ემბისი კორპორაციული მდგრადობის ფარგლებში განაგრძობს სოციალური საწარმოების მხარდაჭერას. კომპანია 2023 წელს გახდა პირველი გავლენის ფონდის “აქციოს” ფინანსური მხარდამჭერი (Impact Investor) და 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ხუთი ათას აშშ დოლარის კონტრიბუციას განახორციელებს ფონდში. აღნიშნული თანხით მოხდება სოციალური საწარმოების დაფინანსება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2024 წელს დაფინანსდა შემდეგი სოციალური საწარმოები: სოციალური საწარმო „ჩემპი“ და სოციალური საწარმო „ტენე“.

- **ფინანსური განათლების მხარდაჭერა**

ემბისი ხელს უწყობს ფინანსური წიგნიერებას ამაღლებას ახალგაზრდებში და სკოლებში, მოსწავლეებისთვის ატარებს გაკვეთილებს ფინანსური განათლების შესახებ. 2024 წლის პირველ ნახევარში, ემბისის 10-მდე თანამშრომელი საქართველოს 10-ზე მეტ სკოლაში, 250-მდე ბავშვს შეხვდა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, ფულის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სახალისო გაკვეთილები ჩაუტარა. კომპანია გეგმავს სხვა ინიციატივების განხორციელებას ფინანსური განათლების მხარდაჭერის კუთხით.

- **პრო ბონო პროგრამა**

ემბისის პრო ბონო პროგრამის მიზანია თანამშრომლების პროფესიული უნარების გაზიარებით დაეხმაროს არამომგებიან ორგანიზაციებს მიაღწიონ თავიანთ სოციალურ და გარემოსდაცვით მიზნებს. პრო ბონო პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრო ბონო ქსელთან პარტნიორობით. 2024 წელს პრო ბონო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 2 პროექტი. პროექტის ორივე ბენეფიციარი ოპერირებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: კახეთსა და ქვემო ქართლში. კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში არსებული ორგანიზაციების მხარდაჭერა, რადგან მათი რესურსები მეტადაა შეზღუდული და უფრო მეტად სჭირდებათ მხარდაჭერა. ჯამში პრო ბონო პროექტებში ჩართული იყო ემბისის 10-მდე თანამშრომელი და სულ დაიხარჯა 200-მდე სამუშაო საათი. ემბისის თანამშრომლები ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან პრო ბონო პროექტებში და მაქსიმალურად იხარჯებიან საუკეთესო შედეგის მისაღწევად.

ბალანსის შემდგომი მოვლენები და სამომავლო გეგმები

2024 წლის ივლისის თვეში, წამყვანმა ევროპულმა სარეიტინგო სააგენტომ, Scope Rating-მა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ემბისი-ს საკრედიტო რეიტინგი B პოზიტიური პერსპექტივით შეაფასა (Outlook Positive). აღსანიშნავია, რომ 2024 წლის სარეიტინგო შეფასება, 2023 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია. გასულ წელს ემბისი-ს საკრედიტო რეიტინგი B სტაბილური იყო. კაპიტალის ადეკვატურობა, გაზრდილი მომგებიანობა, დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროები და გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სფეროებში ჩადებული ინვესტიცია ის ძირითადი პარამეტრებია, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდა ემბისი-ს სარეიტინგო შეფასების გაუმჯობესება.

2024 წელს ემბისის მთავარ ამოცანას მიკრო ბანკის ლიცენზიის მოპოვება წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილებისთვის კომპანიამ აქტიური მზადება 2023 წლის დასაწყისიდან დაიწყო და ახალი რეგულაციების შესაბამისად, განაახლებს ორგანიზაციის სტრუქტურას, პოლიტიკა-პროცედურებს, პროგრამულ უზრუნველყოფასა თუ ფინანსურ ანგარიშგებებს. ლიცენზიის წარმატებით მოპოვების შემდეგ, თანამედროვე მიდგომებით, თანამშრომლების, დირექტორატისა და აქციონერების მხარდაჭერით, ორგანიზაცია შეძლებს სტაბილურ განვითარებასა და დასახული მიზნების მიღწევას.